შენ სულ აფხაზობ , რაც არსებობს ეს საქართველო...

„ შენ სულ აფხაზობ, რაც არსებობს

ეს საქართველო,

მაშინ რად სწუხხარ? აგწეწია

სული რაღაზე?

ღმერთი და რჯული,

საქართველო სანამ იქნება,

შენ სულ აფხაზი იქნები და

სულ იაფხაზებ“

(შოთა ნიშნიანიძე)

საქართველო ერთი დიდი გულია, დიდი და თბილი გული, რომლის ფეთქვის მიზეზიც მისი შვილები არიან: აფხაზები, ოსები, მეგრელები, მესხები, იმერლები...სრულიად საქართველო-ერთი მთლიანობა!

საუკუნეებს ითვლის ეს ერთობა და ესაა ერთადერთი სიმართლე!

დიახ, აფხაზეთი მკერდმოჭრილი ამორძალია უსაქართველოდ, თუმცა რატომ მხოლოდ აფხაზეთი?-საქართველოც მკერდმოჭრილია უაფხაზეთოდ, მაგრამ ასეთი იყო ქართველთა და აფხაზთა საერთო მტრის ჩანაფიქრი...

უნებლიედ მახსენდება მურმან ლებანიძის საოცრად წინასწარმეტყველური სტრიქონები:

„აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს,

ეს კაცია, ალბათ, თურქის თემის

და მე ვყვირი: ჩემს სისხლს დალევს უწინამც

და მე ვმღერი: აფხაზეთი ჩემი!“

გადავხედოთ ისტორიას-ჩვენს დიდებულ წარსულს: აფხაზეთად იწოდებოდა მთელი დასავლეთი საქართველო და იგი არაერთხელ გამხდარა დიდი გაერთიანებების, ერთობის საძირკველი.

რომ არა ეს ერთობა, ჯერ კიდევ ფარნავაზისა და ქუჯის ეპოქაში ერთიანი საქართველოს იდეას, შესაძლოა, მზის შუქი ვერც ენახა...

როგორც იტყვიან, „ისტორია მეორდება“...და შემდეგ ლეონ მეორემ (აფხაზმა) შექმნა გაერთიანებული სამეფო (დასავლეთი საქართველო) და მას აფხაზეთი უწოდა;

ეს იყო ღვთითკურთხეული, დიდებული ნაბიჯი ერთიანი საქართველოსკენ...და განა შეიძლება რაიმე ეჭვი არსებობდეს იმისა, რომ აფხაზეთი და აფხაზები-დასავლეთ საქართველოს მკვიდრი შვილები-ოდითგანვე იყვნენ ინტეგრალური ნაწილი საქართველოსი, ქართული სულის, გენის, იდენტობის მატარებელნი, ჭირისა და ლხინის, სიხარულისა და ტკივილის მოზიარენი?..

დღეს კი ვოცნებობთ დროზე, როცა „ერთი მამალი აღვიძებდა ოდიშ-აფხაზეთს!“.. და სულში ხმიანობს სიმღერადქცეული სტრიქონები:“ გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!..მომენატრა ზღვა, რომელიც ვრცელია...მომაგებე მშობლიური მიწა“..

და ეს ზღვარდაუდებელი სიყვარული, ენითაღუწერელი სითბო და სინაზე, განსხეულებული მონატრებულ ზღვაში, თაკარა აფხაზურ მზესა თუ აჩრდილადქცეულ დაუვიწყარ მოგონებებში უძღები შვილივით დაგვაბრუნებს აფხაზეთში...და აფხაზებსაც დააბრუნებს მათს მშობლიურ საქართველოში, რამეთუ არ არსებობს უსამართლობა, რომელსაც ურმით მავალი სამართალი არ წამოეწევა!..ვერც სიძულვილი იბატონებს -მასაც აუცილებლად დაამარცხებს სიყვარული და აღადგენს მტრობით დანგრეულს.

...და აცხადდება ლამაზი, სევდიანი სიზმარი...და აფხაზებიც და ქართველებიც სინანულით გაიხსენებენ უერთმანეთოდ დაკარგულ წლებს:

„ქრისტეშობამდე აქ ვეძებდით

სოკოს თუ ასკილს,

ერთად ვხედნიდით მეგრულ ლაფშას...

აფხაზურ ლურჯას...

ქედზე მიჯაჭვულ ამირანს თუ

იგივე აბსკრილს,

ჯაჭვს ულოკავდა მე და შენი

გაზრდილი ყურშა...“

დიახ, როგორც ევა, ისე იშვა აფხაზეთი საქართველოს ნეკნისგან და ვერანაირი ძალა ვერ დააშორებს მათ...ეს მხოლოდ დროის საკითხია...საქართველოს გული აფხაზეთით ფეთქავს.

„ზღვაზე ცახცახით მზე დაწურული

და მისი ჩასვლა და აღსასრული...

მეც ამ ცახცახით, მეც ამ წყურვილით

დამეთმოს ერთხელ ცა აფხაზური!“ -ვკითხულობთ ერთ ლექსში.

დიახ, ქართველ ხალხს აუცილებლად დაეთმობა ერთხელაც ცა აფხაზური და ეს „ერთხელ“ გადაიქცევა “სამარადჟამოდ“. ასეთია ნება უფლისა, რომელიც ბრძანებს: რაც ერთხელ ღმერთმა შეაერთა, იმას კაცი ვერ დააშორებს!

ღმერთი ხომ თავად სიყვარულია!..მისთვის შეუძლებელიც შესაძლებელია.